

**გამოკითხვა-შეფასების კომპიუტერული სისტემის „უნივერსიტეტი“
აზიის კონცეფცია**

გელა ღვინფაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, შემოთავაზებულია შექმნეს კომპიუტერული სისტემა „უნივერსიტეტი“, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება სტუდენტების ცოდნის შემოწმება სემესტრული გამოცდების ჩატარების ავტომატიზების მეშვეობით. სისტემის შექმნა-დანერგვა, პროცესის გაადვილების მიზნით, სასურველია განხორციელდეს ეტაპობრივად. აღნიშნულია, რომ სტუ-ს მას კათედრაზე ამ მიმართულებით მუშაობის გარკვეული გამოცდილება უკვე არსებობს.

საკვანძო სიტყვები: კომპიუტერული სისტემა. უნივერსიტეტი. სწავლება. ცოდნა. ხარისხი.

1. შესავალი

სწავლების პროცესში კომპიუტერის ჩართვის მიზანშეწონილობა მტკიცებებს არ საჭიროებს. მაგრამ ერთია, როცა ეს პროცესი ლოკალური სახის გახლავთ და, ცხადია, თვისებრივად გაცილებით მეტი ეფექტის მომტანად იგი მაშინ იქცევა, როდესაც სწავლების სფეროს კომპიუტერიზაცია მოიცავს მთლიან საუნივერსიტეტო სივრცეს, ანუ მას ყოველდღიური, „რუტინული“ ხასიათი ეძლევა. საკითხის გადაწყვეტისადმი ასეთი მიდგომისას უშუალო - ძირითადი მიზნის მიღწევის გარდა, თავს იჩენს კომპიუტერიზაციის შედეგად მოტანილი სხვა დადებითი მომენტებიც, რაც, ჩვენი აზრით, დიდად წაადგება უმაღლეს სკოლებში, მათ შორის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სწავლების დონის ამაღლების საქმეს. დასამალი არ გახლავთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის მიზეზთა გამო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისა და სწავლების ხარისხი მკვეთრად გაუარესდა. ამ არასასურველი მოვლენის მიზეზი, პირველ რიგში, იყო უმაღლესი სკოლების პირველ კურსზე შემოსული კონტიგენტის მომზადების ძალიან დაბალი დონე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წელიწადია, რაც სიტუაცია ამ მხრივ უკეთესობისაკენ შეიცვალა, რისი საფუძველიც გახდა სახელმწიფოს მიერ აბიტურიენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება.

ახლა ჯერი უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებზეა. აუცილებელია უმაღლესი სკოლაში მიმდინარე პროცესების შესწავლა, გაანალიზება და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი გადაწყვეტილებების მიღება. მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის მუშაკთა უპირველეს საზრუნავად უნდა იქცეს სწორედ ამ, ახალი შევსების ახალგაზრდებთან სწავლების პროცესის ახლებურად წარმართვა.

2. ძირითადი ნაწილი

სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მხედველობაში გვაქვს ელექტრონული კონსპექტების განთავსება საუნივერსიტეტო კომპიუტერულ ქსელში. მაგრამ აუცილებელია აღნიშნული მიმართულებით კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. უწინარეს ყოვლისა, საჭიროდ გვესახება, ამ პროცესს საფოველთაო და სავალდებულო ხასიათი მიეცეს. კერძოდ, თითოეულ ლექტორს უნდა დაევალოს ელექტრონული სახის კონსპექტის მომზადება იმ საგანში, რომელსაც იგი კითხულობს. ამასთან, სავალდებულო უნდა გახდეს კონსპექტის თითოეული ნაკვეთისათვის ტესტური გამოკითხვისა და შეფასების კომპონენტის დართვა.

ცხადია, ამგვარი სახის კომპიუტერული სისტემის შექმნა რაიმე განსაკუთრებულ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული (პროგრამების დაწერისა და კომპიუტერში შესაბამისი მონაცემთა ბაზების ორგანიზების თვალსაზრისით). მაგრამ მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით მისი სრულყოფილი ფუნქციონირება, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდ ორგანიზაციულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. ამის გამო, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, შექმნეს სპეციალური საუნივერსიტეტო ქვედანაყოფი, რომელიც თავის თავზე აიღებს სემესტრული გამოცდების ჩატარების მთელი პროცესის უზრუნველყოფას.

დასაწყისისათვის შესაძლებლად ვთვლით, განხორციელდეს შემდეგი კომპრომისული ვარიანტები:

- კომპიუტერული სისტემის მიერ სტუდენტის ცოდნის შემოწმებას ჰქონდეს არასავალდებულო ხასიათი;

- სისტემის ეფექტიანობა შემოწმდეს და დაიხვეწოს მისი მხოლოდ ერთ - ინფორმატიკის ფაკულტეტზე ფუნქციონირების პროცესში. (მოდერნო ეტაპზე სისტემას გამოიყენებს 2-3, ბოლოს კი – ყველა ფაკულტეტი).

- აღნიშნულმა ქვედანაყოფმა სტუდენტებისაგან ჩაიბაროს ფაკულტეტის (კათედრის, მიმართულების) ხელმძღვანელობის მიერ მოცემული სპეციალობისთვის მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეული საგნები;

- ჩატარებულ იქნეს არა სემესტრული, არამედ წლიური - კურსიდან კურსზე გადასაყვანი გამოცდები;

- კომპიუტერულ გამოცდებს ჰქონდეთ შუალედური, ფილტრის (ჩათვლების მსგავსი) ბარიერის სახე; ლექტორი გამოცდაზე მიიღებს მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომელთაც ეს ბარიერი გადალახეს და პრეტენზია აქვთ მოცემულ საგანში მაღალ რეიტინგზე;

- ამრიგად, ზემო პუნქტიდან გამომდინარე, ფილტრის გავლა უნდა ნიშნავდეს, რომ სტუდენტმა საგანში დაიმსახურა მინიმუმ დამაკმაყოფილებელი შეფასება.

მას შემდეგ, რაც კომპიუტერული სისტემის მუშაობის ავტომატიზაცია ყოველმხრივ იქნება შესწავლილ-გაანალიზებული და გამოვლინდება მის ფუნქციონირებაში არსებული „ვიწრო“ ადგილები, შესაძლებელი გახდება, დაისახოს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები, სისტემის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად შემუშავდება ახალი მიდგომები და ხერხები.

3. დასკვნა

შესაბამისი პროგრამული მოდულების რეალიზების მეშვეობით:

- სისტემა საშუალებას მოგვცემს, დროის მოცემული პერიოდისათვის გამოვლინდეს იქნეს საუკეთესო მოსწრების სტუდენტები ცალკეულ ჯგუფებში, კურსებსა თუ ფაკულტეტებზე, ასევე მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით.

- შესაძლებელი იქნება ინტერაქტიურ რეჟიმში ორგანიზებულ იქნეს ნაკრებების სახით წარმოდგენილი ჯგუფების, კურსების თუ ფაკულტეტების შეჯიბრება სხვადასხვა დისციპლინებში.

დაბოლოს, აღნიშნული სისტემის შექმნა-დანერგვაში უპრიანი იქნება სტუდენტთა ფართო კონტიგენტის ჩართვა. გარკვეული გამოცდილებაც არსებობს: მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრაზე ბოლო წლების განმავლობაში საგანში „WEB-ტექნოლოგიები“ მეოთხე კურსის სტუდენტებს საკურსო დავალებად ეძლეოდათ, დაემუშავებინათ სწორედ ამგვარი კომპიუტერული სისტემის შექმნის საკითხი, რასაც ისინი დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ და საკმაო წარმატებითაც ართმევდნენ თავს.

КОНЦЕПЦИЯ ПОСТРОЕНИЯ КОМПЬЮТЕРНОЙ СИСТЕМЫ «УНИВЕРСИТЕТ» ДЛЯ ОПРОСА И ОЦЕНКИ ЗНАНИЙ

Гвинепадзе Г. Ш.

Грузинский Технический Университет

Резюме

С целью повышения качества учебы в высших учебных заведениях предлагается создание компьютерной системы «университет», основная функция которой будет заключаться в оценке знаний студентов путем автоматизации проведения семестральных экзаменов. Для облегчения процессов разработки и внедрения системы желательно их осуществить поэтапно. Отмечено, что на кафедре АСУ ГТУ уже накоплен определенный опыт работы в данном направлении.

CONCEPT OF CONSTRUCTION OF COMPUTER SYSTEM "UNIVERSITY" FOR INTERROGATION AND ESTIMATIONS OF KNOWLEDGE

Gvinepadze Gela

Georgian Technical University

Summary

With the purpose of improvement of quality of study in higher educational institutions creation of computer system "university" which basic function will consist of an estimation of knowledge of students by automation of carrying out final examinations is offered. For simplification of processes of development and introduction of system it is desirable to carry out them stage by stage. It is noted, that on department of ACS of GTU the certain experience of work in the given direction is already collected.